საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/4496
17/08/2022

4496-21-2-202208171118

შპს „ეკოპეტროლს“
მის: ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. №40
ელ.ფოსტა: sosogocadze@gmail.com ekopetrol@yahoo.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №3530 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. გურჯაანში, სარაჯიშვილის ქ. №60-ში, ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ავტოგასამართი სადგურიდან, უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 270 მეტრით. თუმცა, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ ავტოგასამართი სადგურიდან, უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 170 მეტრით. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციისას წყლის გამოყენებისა და სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების მართვის შესახებ ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო